



საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემია

ქართული ენციკლოპედიის ი. აბაშიძის სახელობის მთავარი სამეცნიერო რედაქცია

დიატომა

დიატომა (Diatoma), კაჟოვანი წყალმცენარეების (Bacillariophyta) გვარი.

ლენტისებრი ან ბიგბაგისმაგვარი კოლონიებია, უჯრედები ხაზოვანიდან ელიფსურამდე, მომრგვალებული, იშვიათად თავაკიანი ან ოდნავ ნისკარტისებრ წაგრძელებული ბოლოებით. განივი შტრიხები პუნქტირებულია, განივი ქედები მრავალია. ღერძული ველი ვიწრო ხაზოვანია.

გვხვდება მხოლოდ მტკნარ წყლებში. საქართველოში ცნობილია დიატომას გვარის 14 წარმომადგენელი (1 სახეობა, 12 სახესხვაობა, 1 ფორმა). განსაკუთრებით ხშირად გვხვდება: *Diatoma hiemale*, *D. elongatem*, *D. vulgare* სახესხვაობები.

დ. კუხალიშვილი
